სამოქალქო ომების პოლიტიკური ეკონომია

დავით პიტიურიშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სამაგისტრო ნაშრომი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო ფავლენიშვილი, ასისტენტ - პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2014

განაცხადი

”როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.”

დავითი პიტიურიშვილი

19.06.2014

აბსტრაქტი

სამაგისტრო ნაშრომი განიხილავს 1945 დან 2000 წლამდე ყველა ქვეყანაში არსებულ ეთნიკურ და რევოლუციურ - იდეოლოგიურ სამოქალაქო ომებს.კვლევა იძლევა პასუხს კითხვებზე: რას წარმოადგენს ძალადობის ლოგიკა? რა შეიძლება იყოს კონფლიქტის გამომწვევი მიზეზები? რა გავლენას ახდენს კონფლიქტზე ეკონომიკური ფაქტორები? რა გავლენას ახდენს კონფლიქტზე პოლიტიკური ფაქტორები?

ნაშრომის მიზანია გამოიკვლიოს პოლიტიკური და ეკონომიკურიუკმაყოფილებითგამოწვეული სამოქალაქო ომების ინიცირება. კვლევაიყენებს რაოდენობრივი კვლევის მეთოდს და ახდენს მიღებული შედეგებით ჰიპოთეზების ვალიდურობის დადგენასა და განზოგადოებას.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ სამოქალქო ომის დროს, მშპ - ს ერთ სულ მოსახლეზე ზრდა ამცირებს სამოქალაქო დაპირისპირების დაწყების ალბათობას და დემოკრატიული რეჟიმის განვითარება შესაძლოა მიჩნეული იქნეს სამოქალაქო კონფლიქტის პრევენციად, მაშინ, როცა ავტორიტარული რეჟიმი ზრდის კონფლიქტის ინიცირების ხარისხს. ეთნიკური სამოქალაქო ომის დროს, ეკონომიკურად პროგრესირებადი ქვეყანა ნაკლებ სავარაუდოა, რომ დადგეს ეთნიკური დაპირისპირების წინაშე და პოლიტიკურისისტემა წარმოადგენს გადამწყვეტ ფაქტორს ეთნიკური კონფლიქტის ინიცირების პირობებში. ვაჭრობის განვითარება, ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა და საიმედო კონკურენტული ეკონომიკური გარემოს შექმნა ქმნის ეთნიკური სამოქალაქო დაპირისპირებისთვის ხელსაყრელ პირობებს.

აღნიშნული კვლევა მნიშვნელოვანია, რადგან სამოქალაქო ომი კვლავ აქტუალურია მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონის ქვეყნებში. შესაბამისად, აუცილებელია სამოქალაქო დაპირისპირების ინიცირების ძირითადი ფაქტორების დადგენა და შესწავლა, რათა

შესაძლებელი გახდეს კონფლიქტის საწყისი ნიშნების გამოჩენისთანავე პრევენციული ზომების მიღება და დაპირისპირების თავიდან აცილება.

ძირითადი საძიებო სიტყვები: სამოქალაქო ომი, ეთნიკური სამოქალაქო ომი, ძალადობის ლოგიკა, პოლიტიკური რეჟიმი, ეკონომიკური განვითარება, კოლექტიური მობილიზაცია.

მადლობა

სამაგისტრო ნაშრომის მომზადებაში დიდი წვლილი მიუძღვის ჩემს აკადემიურ ხელმძღვანელს ასისტენტ - პროფესორს ნინო ფავლენიშვილს. მისი გვერდში დგომა, რომ არა შეუძლებლი იქნებოდა ამ ნაშრომის მომზადება.

მადლობას ვუხდი მას ამ ხნის განმავლობაში პროდუქტიული თაანამშრომლობისათვის. მისი კომპეტენტური და პროფესიონალური რჩევები დამეხმარა კვლევის სწორად წარმართვაში. გულწრფელად მოხარული ვარ, რომ სამაგისტრო ნაშრომის მომზადება მომიწია ქალბატონ ნინოსთან. მისი ხელმძღვანელობით საშუალება მომეცა მასთან ერთად მემუშავა სამი თვის განმავლობაში.

ნაშრომის დასაწერად საჭირო მასალის მოგროვება, კვლევისთვის გამოსაყენებელი სტატისტიკური მონაცემების მოპოვება და დამუშავება, უამრავ კითხვაზე შესაბამისი პასუხი - ეს ყველაფერი შეუძლებელი იქნებოდა, რომ არა ჩემი ხელმძღვანელის აქტიურობა და მხარდაჭერა.